CURATIO INTERNATIONAL FOUNDATION
კურაციო საერთაშორისო ფონდი

97/19

14 მაისი, 2019 წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის
მინისტრი მოადგილეს
ქალბატონ თამარ გაბუნიას

ქალბატონო თამარ,

მოგესალმებით საერთაშორისო ფონდი კურაციოს სახელით. მოგახსენებთ, რომ ჩვენი ორგანიზაცია გეგმავს კვლევით პროექტზე განაცხადის შეტანას დიდი ბრიტანეთის სამედიცინო კვლევების საბჭოში, კერძოდ კი ჯანმრთელობის სისტემების კვლევის ინიციატივის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში, რომელსაც ერთობლივად აფინანსებს Medical Research Council (MRC), Department for International Development (DFID), Economic and Social Research Council (ESRC) და Welcome trust.

მოგახსენებთ, რომ ჩვენი კვლევითი პროექტი მიზნად ისახავს შისწავლოს კერძო სექტორის როლი საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში, კერძოდ კი:

1. გამოიკვლიოს ჯანდაცვის სექტორის სტრუქტურა და შეისწავლოს რამდენად ფრაგმენტული და/ან კონსოლიდირებულია ბაზარი, ასევე როგორია ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრირების დონე სექტორში.
2. შეისწავლოს რა მოთხოვნა, მიწოდების და პოლიტიკური ფაქტორები ახდენენ გავლენას არსებულ მოდელზე.
3. გამოიკვლიოს პოტენციური რისკები პაცინტებისთვის ფრაგმენუტილი და კონსოლიდირებული ბაზრის პირობებში.
4. შეისწავლოს პოლიტიკის შესაძლო მექანიზმები რომელიც გავლენას მოახდენს არსებულ პრივატიზირებულ ჯანდაცვის სექტორზე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე გვინდა გთხოვოთ მხარდაჭერა, როგორც აპლიკაციის შეტანის ეტაპზე ასევე, კვლევის განხორციელების პროცესში.

წინასწარ მადლობას მოგახსენებთ მხარდაჭერისთვის.

პატივისცემით,

მაია უჩანეიშვილი

კვლევითი განყოფილების ხელმძღვანელი